

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-101, 08.10.2019
დანართი №1

სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში“ თამბაქოს მოხმარების წესი

ქ.მცხეთა

2019 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1711 -ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკისა და კანონის აღსრულების გზამკვლევით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად.

2. საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, პირობები და წესები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თამბაქოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარებას, არამწვევლთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობას, თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობას, თამბაქოს მოხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნისა და ამ ნაწარმის ხელმისაწვდომობის შემცირებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და არამწვევლობის, როგორც ცხოვრების ნორმის აღიარებას.

მუხლი 3. თამბაქოს მოხმარების შეზღუდვა

1. წინამდებარე წესის შესაბამისად თამბაქოს მოწევა აკრძალულია სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის შენობა-ნაგებობებში (მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა დასაშვებია შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას (ადგილებში). აღნიშნული დაწესებულების ტერიტორიაზე ასეთი ადგილების რაოდენობა 3-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო თითოეული ადგილის ფართობი 20 კვადრატულ მეტრზე მეტი არ უნდა იყოს (მე-10 მუხლის 15 პუნქტი).

2. წინამდებარე წესი ვრცელდება როგორც ძირითად (სოფ. წინამძღვრიანთკარში), ისე დამატებით სასწავლო ფართებზე დაბა თიანეთსა და დაბა სტეფანწმინდაში.

მუხლი 4. თამბაქოს მოწევის წესები

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები აღნიშნულია. ასევე, კოლეჯში თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე შესაბამისი წარწერები და ნიშნები გამოყოფილია.

2. კოლეჯში თამბაქოს მოწევა დასაშვებია შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას (ადგილებში).

მუხლი 4. წინამდებარე წესის დაუმორჩილებლობა და საჯარიმო სანქციები

1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესაძლებლობას.

2. ფიზიკური პირის მიერ თამბაქოს მოწევა იმ შენობა-ნაგებობაში, სადაც მოწევა აკრძალულია გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას -200 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში ამ სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდეგ ყოველ მომდევნო ჩადენა-გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 5. კოლეჯის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარება

1. პროცედურები, რომლებიც დაწესებულების მიერ უნდა გატარდეს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან, მათ შორის, ფლობენ ანთებულ/გახურებულ თამბაქოს ნაწარმს, ანუ ელექტრონულ სიგარეტს ან ჩილიმს კანონით აკრძალულ ადგილას, კოლეჯისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან:

ა) აცნობონ მწეველს, რომ იმყოფებიან მოწვევისათვის აკრძალულ ადგილას და ჩადიან სამართალდარღვევას;

ბ) თავაზიანად მიუთითონ მწეველს შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა და შესთავაზონ მისი ჩაქრობის უსაფრთხო მეთოდი;

გ) განუმარტონ მწეველს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

2. იმ შემთხვევაში თუკი ფიზიკური პირი კვლავ გააგრძელებს თამბაქოს მოწევას, უარი უნდა ეთქვას მომსახურებაზე და მოეთხოვოს შენობის ან მისი ტერიტორიის დატოვება.

3. თუ ფიზიკური პირი განაცხადებს უარს დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, მის მიმართ უნდა გატარდეს კანონით დაწესებული პროცედურები.

მუხლი 6. კოლეჯის ადმინისტრაციის ინფორმირებულობა

ყველა მსგავსი ინციდენტი და გატარებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე : 📞 (+995)577-21-50-90; (+995)577-21-50-91;

მუხლი 7. კოლეჯის ადმინისტრაციის უფლებამოსილება

მწველი პირის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და ძალადობის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - (112).